

პროფესიული განათლების მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების პროგრამის
ანგარიში
2016 წელი

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი 32 02 02 02

პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები 4 ძირითადი მიმართულებით: **პედაგოგიური კურსი; მოდულური სწავლება - „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“; ინკლუზიური პროფესიული განათლება: პროფესიული ტრენინგები საწარმოში.**

UNDP თან თანამშრომლობით შემუშავა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსი. პედაგოგიური კურსი შედგება 5 ტრენინგ-მოდულისაგან. პედაგოგიური კურსის I მოდული - „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“ ჩატარდა **5 პროფესიულ სასწავლებელში** (8 ჯგუფი). სულ დატრენინგებულია **156 მასწავლებელი.**

პედაგოგიური კურსის II მოდული - „პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში“ ჩატარდა **5 პროფესიულ სასწავლებელში** (8 ჯგუფი). სულ დატრენინგებულია **156 მასწავლებელი.**

პედაგოგიური კურსის IV მოდული - „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები“ (40 სთ) ჩატარდა **3 პროფესიულ სასწავლებელში.** სულ დატრენინგებულია **132 მასწავლებელი.**

MCA -თან ერთად, ჩატარდა პროფესიული განათლების პედაგოგთა საჭიროებების კვლევა (პედაგოგთა გამოკითხვა). გამოკითხვაში მონაწილეობდა სხვადასხვა საჯარო კოლეჯის 230 მასწავლებელი. შემუშავდა (4 შეხვედრა-სემინარი) და დამტკიცდა ტრენინგმოდული **„კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“** ჩატარდა ტრენინგები მოსამზადებელი ტრენინგი მოდულის შეფასებისა და რეკომენდაციების განხილვის მიზნით. შეირჩა 7 კვალიფიციური ტრენინგ-კონსულტანტი განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით. მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნულ ცენტრში 15-16-17 ივნისს ჩატარდა აღნიშნული მოდულის პილოტირება სხვადასხვა კოლეჯის 15 მასწავლებელთან.

ტრენინგ-მოდული მოდულურ სწავლებაში- „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“ ჩატარდა 24 პროფესიულ სასწავლებელში (33 ჯგუფი); ტრენინგები გაიარა სულ 678 მასწავლებელმა;

MCA - თან ერთად შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების კვლევას უწყობს ხელს. კითხვარი შეავსო 831 მასწავლებელმა. განხორციელდა შედეგების ანალიზი.

ტრენინგი: „მოდულური სწავლების საკითხები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და MCA - თან თანამშრომლობით მომზადდა ტრენინგ- მოდული „ მოდულური სწავლების საკითხები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“.

განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით შეირჩნენ ტრენერები, რომელთათვისაც ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი. ტრენერების მიერ შემუშავდა სამუშაო მასალა. ტრენინგი ჩატარდა 16 პროფესიულ სასწავლებელში (19 ჯგუფი); ტრენინგი გაიარა 407-მა მასწავლებელმა.

მასწავლებელთა ტრენინგები ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულე- ბით, ტრენინგ-კურსი სახელწოდებით: „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება_ნაწილი -2“ (10 სთ), 2016 წლის მაისიდან ჩატარდა 16 საჯარო კოლეჯში(20 ჯგუფი); ტრენინგი გაიარა 316 მასწავლებელმა;

მასწავლებელთა ტრენინგი საწარმოში: პროგრამის ფარგლებში 26 დასაწარმო მიმართულების მიხედვით განხორციელდა სასწავლებლების, საწარმოების და მასწავლებელთა/დარგის სპეციალისტთა იდენტიფიცირება ტრენინგების დაგეგმვის მიზნით. საწარმოში ტრენინგებს ორგანიზებას უწყვენ და სატრენინგო აქტივობებს ასრულებენ დარგის ექსპერტ-ფასილიტატორები. დარგის ექსპერტ-ფასილიტატორების სია, რომლებმაც შეიმუშავეს დასაწარმო მოდულური პროგრამები, მოწოდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა ტრენინგები საწარმოში განხორციელდა 36 მიმართულებით. სულ დატრენინგებულია 329 მასწავლებელი

	დარგი	სახელი	გვარი	პოზიცია	დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობა
1	სამთო ტექნიკოსი	მზია	ქიტოშვილი	ფასილიტატორი	6
2	სამთო ელექტრომექანიკოსი				4
3	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნიკური სპეციალისტი				4
4	ტრიკოტაჟის მქსოველ-ოპერატორი	ზაზა	თაგვაძე	ფასილიტატორი	8
5	მუსიკის რეპეტიტორი	ლეილა	მარუაშვილი	ფასილიტატორი	4
6	პიანისტ-აკომპანიატორი	ცირა	ქამუშაძე	ტრენერი	6
7	მემინანქრე	შორენა	ჯაფარიძე	ფასილიტატორი	6
		ნინო	ბურკაძე	ტრენერი	
8	ელექტრიკოსი	შორენა	ჯაფარიძე	ფასილიტატორი	12
		თენგიზ	მუსელიანი	ტრენერი	
9	მღებავი	ირმა	ღარიბაშვილი	ფასილიტატორი	6
10	ელ. ამძრავისა და ელ. მომმარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი	ირმა	ქათამაძე	ფასილიტატორი	7
11	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	თამარ	შალვაშვილი	ფასილიტატორი	10
		მიხეილ	სამხარაძე	ტრენერი	
12	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	თამარ	შალვაშვილი	ფასილიტატორი	11
		მიხეილ	სამხარაძე	ტრენერი	

1 3	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი				7
1 4	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	ნინო	გზირიშვილი	ფასილიტატორი	8
1 5	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი				8
1 6	მქარგავი				11
1 7	კონდიტერი	რუსუდა ნ	ჩართოლანი	ფასილიტატორი	7
1 8	ბართენდერი	თამარ	კაკუტია	ფასილიტატორი	6
1 9	ბუღალტერი				9
2 0	ბუღალტერ-ტექნიკოსი	კახაბერ	ერაძე	ფასილიტატორი	6
2 1	მზარეული	ალექსი	ხუნჯუა	ფასილიტატორი	11
2 2	ფილამწყოზი	ედგარ	ხუციშვილი	ფასილიტატორი	7
2 3	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	ნინო	ქვრივიშვილი	ფასილიტატორი	13
2 4	თექის ოსტატი	ნიკოლო ზ	ნუცუბიძე	ფასილიტატორი	10
2 5	თმის სტილისტი	ნინო	ბოკუჩავა	ფასილიტატორი	10
2 6	მასაჟისტი რეაბილიტატორი	ხათუნა	ურუშაძე	ფასილიტატორი	9
2 7	ტუროპერატორი				7
2 8	გიდი	ალინა	კუპრავა	ფასილიტატორი	11

29	ოფისის მენეჯერი	შორენა	ხუბუნაია	ფასილიტატორი	29
30	ბიბლიოთეკარი	გურანდა	ბერძენიშვილი	ფასილიტატორი	21
31	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	სერგო	კარაკოზოვი	ფასილიტატორი	13
32	ვებ ინტერფეისის დიზაინერი				9
33	ექთნის თანაშემწე	ბელა	სარია	ფასილიტატორი	6
34	პრაქტიკოსი ექთანი				16
35	სასტუმროს საქმის სპეციალიტი	ვერიკო	ჭილაძე	ფასილიტატორი	6
36	მიღება-განთავსების სპეციალისტი				5
სულ მასწავლებლების რაოდენობა					329

პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის მოსამზადებელი პროგრამის შემუშავების მიზნით, განხორციელდა სიტუაციური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც 7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოთხოვნილ იქნა პრეზენტაციები პროფესიული განათლების 24 მასწავლებლის საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილების შესახებ. აღნიშნულ პრეზენტაციებში ასახულია მათ მიერ, უცხოეთში მიღებული გამოცდილება და აქტივობები.

ევროკავშირის პროექტთან თანამშრომლობით მოხდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის სამუშაო ჯგუფში ჩართულობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეფციაში მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის საკითხების შეტანას. შემუშავდა კითხვარი სასწავლებლებისათვის, რათა დადგინდეს არსებული მდგომარეობა სასწავლებლებში საერთაშორისო მობილობის თვალსაზრისით. ე.წ., ბეისლაინ“ კვლევისთვის. კონცეფციის

შემუშავების შემდგომ, ევროკავშირის პროექტთან თანამშრომლობით საერთაშორისო მობილობაზე, შემუშავდა ტრენინგ- მოდული.

პროფესიული განათლების 50 მასწავლებელს ჩაუტარდათ ტრენინგი საერთაშორისო მობილობის საკითხებზე. გადაეცათ სერთიფიკატები.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, UNDP-ის მხარდაჭერით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრა. შემუშავდა და მომზადდა -„პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი“ .

UNDP-ის მხარდაჭერით, მომზადდა ტრენინგ-მოდული. „მოდულური სწავლების საკითხები, სისტემაში არსებული დამწყები მასწავლებლებისათვის“.; **ტრენინგი გაიარა 28 მასწავლებელმა.**